თავისუფლებავ, შენ ხარ ქვეყნის ნავთსაყუდარი!

# ერთობა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№15
ორშაბათი,
9 აპრილი
1990წ.

## სედპ-ს II კონგრესი

ამა წლის 22-24 მარტს თბილისში ცეკავშირის საატკო დარბაზში ჩატარდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მეორე კონგრესი, რომელსაც ესწრებოდნენ დელეგატები პარტიის ყველა რეგიონალური და პირველადი კომიტეტებიდან, სტუმრები სხვადასხვა რესპუბლიკების ოპოზიციური ორგანიზაციებიდან. კონგრესზე მოწვეული იყვნენ და სიტყვებით გამოვიდნენ, საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანებებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები: ზ.გამსახურდია, ა.ბაქრაძე, ნ.ნათაძე, ლ.ტუხაშვილი, ჯ.წიკლაური, თ.ქორიძე, მ.მაჭავარიანი, ჯ.ჩარკვიანი, რ.მიქაბერიძე, ლ.შაკიაშვილი, გ.პეტრიაშვილი და სხვები.



კონგრესმა მიიღო რეზოლუცია საოკუპაციო არჩევნების ბოიკოტის შესახებ, მიმართვები: გორბაჩოვის/ლიტვის საკითხებთან დაკავშირებით/, ლიტველი ხალხის, აზერბაიჯანელი პოლიტპატიმრების განთავისუფლებისა და გარდამავალი კოალიციური ხელისუფლების არჩევის შესახებ.

ოთხი წლის ვადით არჩეულ იქნა პარტიის თავმჯდომარე და მთავარი კომიტეტი, დამტკიცდა სარედაქციო კოლეგია, საორგანიზაციო კომიტეტი, საკოორდინაციო საბჭო, სამხედრო საქმეთა კომისია, სასკოლო საქმეთა და ერთაშორის ურთიერთობების კომიტეტები.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარედ კონგრესის მიერ ერთხმად იქნა არჩეული ირაკლი წერეთელი. მთავარ კომიტეტში პირდაპირი, ფარული კენჭისყრის შედეგად შევიდნენ: ი.ბათიაშვილი, თ.სუმბათაშვილი, თ.ფიფია, ვ.ხომერიკი, მ.ცაგარელი, ა.გოგოლაძე, რ.ბირკაია, თ.ჟორჟოლიანი, ვ.კალანდარიშვილი, კ. ხაბაზი.

## 9 აპრილი

შესრულდა ერთი წელი 4-9 აპრილის მშვიდობიანი აქციის ბარბაროსულად დარბევის დღიდან.

1989 წლის 5 აპრილს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით თბილისში, მთავრობის სახლის წინ დაიწყო საპროტესტო შიმშილობა. მოშიმშილეებმა დაიკავეს მთავრობის სახლის წინამდებარე ტერიტორია. აქციამ მოიცვა მთელი საქართველო, დაიწყო მასობრივი გამოსვლები და გაფიცვები. აქცია უნდა დასრულებულიყო 14 აპრილს- ქართული ენის დღეს.

9 აპრილს გამთენიისას, საბჭოთა ჯარის მიერ სასტიკად იქნა დარბეული მშვიდობიანი აქცია.

დიდია დანაკლისი, მძიმეა მწუხარება, მაგრამ მიუხედავად ამისა, 4-9 აპრილის გამოსვლები დიდი გარღვევაა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამის ნათელი დადასტურებაა ეროვნული მოძრაობის სწრაფი აღმასვლა და თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლა.

4-9 აპრილის მოვლენებმა უდიდესი რეზონანსი გამოიწვია მთელს მსოფლიოში.

სედპ ერთი წლის თავზე კიდევ ერთხელ მიაგებს პატივს 9 აპრილს დაღუპულთა ნათელ ხსოვნას!

## არდავიწყება



ეკა ბეჟანიშვილი
ნათია ბაშალეიშვილი
თამრიკო ჭოველიძე
მანანა მელქაძე
თამუნა დოლიძე
აზა ადამია
[illegible] ჯინჭარაძე
ნინო თოიძე
ცანახა ღოღაძე



მარინა ჭყონია-სამარგულიანი
ნანა სამარგულიანი
გია ქარსელაძე
ნატო გიორგაძე
თინა ენუქიძე
შალვა ქვასიროლია[illegible]
მაირა კიკვიძე
ნოდარ ჯანგირაშვილი
თამარ მამულაშვილი
მამუკა ნოზაძე
ელისო ქიპაშვილი
ვენერა მეტრეველი







## 25 თებერვლის აქცია

შარშან, საქართველოს რადიკალურმა, შეურიგებელმა, ოპოზიციურმა ორგანიზაციებმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის თარიღი - 25 თებერვალი გამოაცხადეს საყოველთაო გლოვის დღედ და მიუხედავად მარიონეტული ხელისუფლების მიერ ძალის დაპირისპირებისა, შესძლეს მასობრივი საპროტესტო აქციების გამართვა.

ერთი წლის განმავლობაში სიტუაცია ჩვენში მთლიანად შეიცვალა; ამჟამად საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას განსაზღვრავენ ორგანი-

/ დასასრული მე-2 გვ. /

დროება

ეროვნული ბიბლიოთეკა

/დასასრული/

ციური პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გადადგა უზარმაზარი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ.

წელს, 25 თებერვალს სედპ-მ საპროტესტო აქცია დაიწყო უნივერსიტეტთან, საიდანაც მომიტინგეებმა გადაინაცვლეს მთავრობის სახლის წინ. აქ თავი მოიყარა ათასობით ადამიანმა. მიტინგის დათავრების შემდეგ მისი მონაწილენი დაიძრნენ ლენინის ძეგლისაკენ და რომ არა მარიონეტული ხელისუფლების "ამირული თავდადება", შესაძლებელი გახდებოდა პროლეტარიატის დიდი ბელადის ძეგლის ჩამოღება, მაგრამ მილიციელებსა და მომიტინგეებს შორის მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყდა ხალხის გამოყვანა მოედნიდან. ამის შემდეგ დაიწყო მსვლელობა ლენინის ქუჩისაკენ, ჩამოიხსნა ქუჩის სახელის აღმნიშვნელი ყველა აბრა. ამიერიდან საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი ვენახაძისეული ქუჩა ატარებს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელს.

25 თებერვალს ლენინის ძეგლის აღების მცდელობა თითქოს ერთგვარი სიგნალი გახდა საქართველოს სხვა ქალაქებისათვის. რესპუბლიკაში დაიწყო ლენინის ძეგლების მასობრივი მოხსნა-განადგურება. იმედია, არც თბილისის ცენტრში დარჩენილ "ბელადს" უწერია დიდი დღე.



სურათზე: ბ-ნი შოთა კორგოძე თავისი "რაზმით" გადაეფარა დიდი ბელადის ძეგლს

## სედპ-ს საიუბილეო თარიღი

25 მარტს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ მთავრობის სახლის წინ გამართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სედპ-ის შექმნის ერთი წლისთავს. მიტინგი გახსნა ბ-მა ირაკლი წერეთელმა. მან აღნიშნა სედპ-ის ავანგარდული როლის შესახებ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ: ბ-ნი ზვიად გამსახურდია (ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე), ბ-ნი აკაკი ასათიანი (მონარქისტული პარტია), ბ-ნი გია ჭანტურია (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავ-რე), ბ-ნი ნოდარ ნათაძე (სახალხო ფრონტის თავ-რე), ბ-ნი სახდერ სისი (ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი) და სხვები, რომლებმაც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიულოცეს საიუბილეო თარიღი და უსურვეს წარმატებები მომავალ ბრძოლებში.

იმავე დღეს გამიზნული იყო მოდერნიზებული ბოლშევიკური იმპერიის დამაარსებლის-ვ. ი. ლენინის ძეგლის აღება. ადგილობრივმა მარიონეტულმა ხელისუფლებამ წარმატებით შეასრულა კრემლის მესვეურთა დავალება - ოკუპანტთა არმიის საშუალებით დაიცვა პროლეტარიატის დიდი ბელადის ძეგლი.





## სედპ-ს სამხედრო კომისიის მუშაობის შედეგები

1989 წლის 11 ოქტომბერს თბილისში სპორტის სასახლესთან დაიწყო წვევამდელთა მჯდომარე აქცია და გამოცხადდა ბოიკოტი საბჭოთა საოკუპაციო ჯარებში სამსახურზე. აქციამ მოიცვა თითქმის მთელი საქართველო. თბილისში გაფიცულთა რიცხვმა 800-ს მიაღწია, ხოლო საქართველოში 1300-ს გადააჭარბა. აქციის დაწყებისთანავე გაფიცულ წვევამდელებს შემოუერთდნენ საბჭოთა საოკუპაციო ჯარებიდან გამოქცეული ჯარისკაცები, რომელთაც სამხედრო სამსახური დატოვეს იმ მოტივით, რომ შეუძლებელია იმსახურო იმ არმიაში, რომელმაც მოახდინა საქართველოს ოკუპაცია დაღვარა მრავალი უდანაშაულო ადამიანის სისხლი. გარდა ამისა, საბჭოთა არმიაში ქართველი ჯარისკაცები ოფიცრების მხრიდან განიცდიან ყოველგვარ ჩაგვრას, არაადამიანურ სისასტიკეს, ამ არმიამ იმსხვერპლა მათი თანატოლების სიცოცხლე /ამა წლის იანვარ-თებერვალში საბჭოთა საოკუპაციო არმიის ნაწილებში დაიღუპა 15 ქართველი ჯარისკაცი/, - აქედან გამომდინარე, ყველა გამოქცეული ჯარისკაცი უარს აცხადებს ასეთ არმიაში სამსახურზე.

აღსანიშნავია ის, რომ გამოქცეულთა უმრავლესობას შეადგენენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ნაწილებიდან /გორი, მარნეული, ახალციხე, ახალქალაქი, ქუთაისი, ბათუმი, კოდა, თბილისი, ისანი, ვაზიანი და სხვა/ გამოქცეული ჯარისკაცები. 1990 წლის მარტის დასაწყისისათვის რეგისტრირებულია საოკუპაციო არმიიდან გამოქცეული 600 ჯარისკაცი.

ამ აქციის პარალელურად წარმოებს სამხედრო ბილეთების ჩაბარება მოქალაქეების მიერ, რომელნიც უარს აცხადებენ საბჭოთა სამხედრო სამსახურზე. სამხედრო ბილეთები ჩააბარა 310-მა მოქალაქემ.

გამოქცეულ ჯარისკაცთა აქცია კვლავ გრძელდება. ახლა წარმოებს გამოქცეულ ჯარისკაცთა რეგისტრირება და პერიოდული აღრიცხვა, ისინი ინდივიდუალურად ასერხებენ საკუთარი თავის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სამხედრო საქმეთა კომისიის შტაბი ამჟამად მდებარეობს თეოდორე მღვდლის /კოფილი ორჯონიკიძის/ ქუჩა № 42-ში.

საქართველოში მცხოვრებ ყველა წვევამდელს, საოკუპაციო არმიიდან გამოქცეულ ყველა ჯარისკაცს შეუძლია მოუმართოს შტაბში დახმარებისათვის.

ეთერ ხუციშვილი /სედპ/

## თვითლიკვიდაცია თუ თვითმკვლელობა?

ამა წლის 20 მარტს შავნაბადაში ( ყოფილი კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე) გაიმართა საქართველოს კომკავშირის რიგგარეშე ყრილობა; რიგგარეშე იმიტომ, რომ საქართველოს კომკავშირს, მუშაობის ტრადიციული მეთოდებით, ყველაფერი რიგის მიხედვით აქვს გათვლილი. ყრილობის დელეგატებს შეშფოთება ეტყობოდათ, რასაც საკმაო საფუძველი ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ განხილული იქნა საქართველოს კომკავშირის თვითლიკვიდაციის საკითხი. ამ შემთხვევაში თვითლიკვიდაცია თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. პოლიტიკურ გადასხვაფერებას და "გარდაქმნას" სიკეთისა და არსებითი ცვლილების მოტანა რომ არ შეუძლია, ამას თითოეული ჩვენგანი ხედავს "დიად იმპერიაში". თავის რიგგარეშე ყრილობაზე კომკავშირი ისეთ განწყობაზეა, რომ მზად არის გარდაიქმნას, გადასხვაფერდეს, მაგრამ სიკვდილით მაინც არ მოკვდეს. სწორედ ეს აზრი იქნა გამოთქმული საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სესილი გოგიბერიძის მოხსენებაში; თუმცა იყო განსხვავებული აზრიც, რომლის მატარებელიც იყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის ირაკლი წერეთლის გამოსვლა. მან თქვა: "კომკავშირი უნდა გაუქმდეს და თუ აღმოჩნდებიან კომკავშირული იდეების ერთგული ახალგაზრდები, მათ შეუძლიათ თავიანთი საქმიანობა ნულოვანი მდგომარეობიდან დაიწყონ."

ყრილობაზე გადაწყდა: კომკავშირმა ორი თვის განმავლობაში მოახდინოს თვითგამორკვევა.

ჩვენთვის გასაგებია მცნება "ერის თვითგამორკვევა", რაც შეეხება კომკავშირის თვითგამორკვევის შესახებ ყრილობის გადაწყვეტილებას, მიგვაჩნია, რომ ეს არის ფარსი კომკავშირის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, როგორც იტყვიან, "წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო".

იმედია, "კომკავშირის თვითგამორკვევის" პროცესი წარმართული იქნება ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით და არა კონიუნქტურული პოლიტიკური მანევრირებით.

გოგიტა მელიქიძე

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის
პარტიის მიწათმოწყობის კომისიის

## რეზოლუცია

დღეს მოწმენი გავხდით საკავშირო ხელისუფლების მორიგი ვერაგული გეგმის განხორციელებისა, რომლის მეშვეობით საქართველოს თავს მოახვიეს კოლექტიური მებაღეობა, რის გამოც საქართველო განადგურების პირასაა მისული, როგორც პოტენციური მიწათმოქმედების ქვეყანა. კოლექტიური მებაღეობის წესით გამიზნულად შექმნილი უმჭიდროესი დასახლებები დაუნდობლად ანადგურებენ საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, მიწა როგორც წარმოების საშუალება გადადის არაპროფესიონალებისა და ხშირ შემთხვევაში არა ქართველების ხელში. იწვევს თბილისის ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებას. საგარეუბნო ზონებში ტყეების გაჩეხვას, მთიან ადგილებში წყლის ეკოსისტემების რეჟიმის შეცვლას და მათ გაჭუჭყიანებას. ფაუნის რესურსების გაღარიბებას, მიწის რესურსების მტაცებლურ , არარაციონალურ გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაქვეითებას და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის იძულებით მიგრაციას. ქმნის მრავალწლიან კონფლიქტურ სიტუაციას სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას შორის. და იწვევს ეროვნული მთლიანობის დარღვევას, ვინაიდან კოლექტიური მებაღეობა გაგრძელებაა საბჭოების მიერ სოფლის მიმართ ათწლეულების განმავლობაში გატარებული პოლიტიკის, რომელმაც სოფელი და გლეხი გადაგვარებამდე მიიყვანა.

სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს კვესეთის /ზედაზნის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიების/, თბილისის ეროვნული პარკის, მდინარე ვერეს, თემქის და დილმულას ხეობების, კოჯრის სატყეოს ტერიტორიებზე კოლექტიური მებაღეობისათვის ნაკვეთების გამოყოფა. ასეთ ვითარებაში საჭიროდ მიგვაჩნია:

1. შეწყდეს კოლექტიური მებაღეობისათვის ნაკვეთების შერჩევა, გამოყოფა და განაწილება, თბილისიდან 30 კილომეტრის რადიუსში.

2. გაუქმდეს ყველა ის დადგენილება, რომლის მიხედვით კოლექტიური მებაღეობისათვის ნაკვეთები გამოყოფილია, განაწილებულია, მაგრამ ათვისება არ არის დაწყებული.

3. აღმოიფხვრას ყველა ის დანაშაულებრივი შეცდომები, რომლებიც ნაკვეთების გამოყოფასა და ათვისებაში იქნა დაშვებული.

ნუგზარ სულაშვილი



ფოტოკადრი გადაღებულია სოფ. წავკისში, სადაც ამხანაგური მებაღეობის შექმნის მიზნით განაწილდა მიწის ნაკვეთები.

იქნებ ზემდგომმა ორგანოებმა გაგვცენ პასუხი: რას აშენებენ? ამხანაგურ მებაღეობებს თუ ახალი ტიპის ინდუსტრიულ ქალაქებს.

მიწათმოწყობის კომისია
ნ. სულაშვილი /სედპ/

# ინფორმაცია ხაშურიდან

ხაშურში მოქმედმა ეროვნულ-პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა, ასოციაციებმა და კავშირებმა, სხვადასხვა დაწესებულებებმა, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხაშურის ორგანიზაციის ინიციატივით მიმდინარე წლის 21 მარტს, რაიონში მოაწყვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომელმაც მხარი დაუჭირა ეროვნული ფორუმის გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებს. ამავე კონფერენციაზე შეიქმნა ხაშურის ეროვნული კომიტეტი 12 კაცის შემადგენლობით, რომელიც გახდება ეროვნული მოძრაობის წარმმართველი ძალა ხაშურის რაიონში და მიიყვანს ხაშურელ ხალხს მთელ ქართველ ხალხთან ერთად, საქართველოს სრულ თავისუფლებამდე.

ხაშურის ეროვნული კომიტეტი

---

სოხუმის რეგიონალური ორგანიზაცია

როგორც ვიცით, საქართველოში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადება იყო რეალური განხორციელება დევიზისა: "გათიშე და იბატონე". მაგრამ, აფხაზეთი არასოდეს გათიშულა და განცალკევებულა. იგი ყოველთვის მის ორგანულ ნაწილად რჩებოდა და დარჩება კიდეც. მას ისევე მწვავედ აწუხებს ყველა ის პრობლემა, რაც მთელ საქართველოს.

ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგობებმა ყველაზე მწვავედ აფხაზეთში იჩინა თავი. აქ ეროვნულ მოძრაობას დაუპირისპირდა არა მარტო კომუნისტური იდეებით გაჟღენთილი საზოგადოება, არამედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ აგრესიულად განწყობილი ადამიანთა ჯგუფები, რომელთაც წლების მანძილზე მავანნი და მავანნი ცრუ ისტორიით მიზანმიმართულად უწამლავდნენ აზროვნებას. აფხაზეთი აქტიურად ეხმარება საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესს.

ამ ცოტა ხნის წინ, სოხუმში ჩამოყალიბდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ცხუმის რეგიონალური ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანია, აფხაზეთში ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორი გზით წარმართვა.

პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეროვნული მოძრაობა არ უნდა იქნეს გაიგივებული ანტიაფხაზურ მოძრაობასთან. ორგანიზაცია მაქსიმალურად ცდილობს კონტროლი გაუწიოს ერთაშორის ურთიერთობას აფხაზეთში. სედპ-ს ცხუმის რეგიონალური ორგანიზაცია, სხვა შეურიგებელ ოპოზიციურ ძალებთან ერთად- ედპ, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი, მ.კოსტავას საზოგადოება, მონარქისტული პარტია და სხვა ცდილობს იმოქმედოს ორგანიზებულად და მობილიზებულად რათა არ წამოეგოს არავითარ პროვოკაციას.

ორგანიზაციის ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებით და აფხაზური პრობლემებით, არამედ იგი გააშუქებს და გამოეხმაურება ყველა იმ აქტიურ მოვლენას, რასაც ადგილი ექნება საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. ამ მხრივ ორგანიზაციის პოზიცია მთლიანად განსხვავდება სოხუმის სახალხო ფრონტის პოზიციისაგან, რომლის გაზეთის- "ოქროს საწმისის" ყურადღება მთლიანად ეთმობა აფხაზურ პრობლემას.

ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოში არსებული ყველა პრობლემა გადაწყდება მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში. ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა ერთაშორის ურთიერთობაა, რომელიც დღეს ასე მწვავედ დგას არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. ორგანიზაცია ცდილობს მოსახლეობას დაუსაბუთოს და დაუმტკიცოს ის აზრი, რომ ყოველგვარი ერთაშორისი ურთიერთობა მოწესრიგდება მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ.

---

სიღნაღის რაიონის ექიმთა 1990 წლის

28 მარტის საერთო კრების

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

– რადგანაც ქართველ ახალგაზრდებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა უხდებათ არაჩვეულ, არასახარბიელო პირობებში;

– ვინაიდან სამხედრო სამსახურის პერიოდში განიცდიან ფიზიკურ და მორალურ შეურაცხჰყოფას;

– იმის გამო რომ, საბჭოთა არმიიდან დემობილიზირებულთა უმრავლესობის ჯანმთელობა შერყეულია, რაზედაც მიუთითებს საქართველოს ექიმთა ასოციაციასთან არსებული საზოგადოებრივი საექიმო კომისიის დასკვნები;

– ვინაიდან ა/წ 9 მარტის რიგგარეშე სესიაზე საქართველოს უზენაესმა საბჭომ, საქართველო გამოაცხადა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ანექსირებულ და ოკუპირებულ ქვეყანად, რომლის მოქალაქეები საერთაშორისო სამართლით იტოვებენ მორალურ უფლებას არ იმსახურონ მაოკუპირებელი ქვეყნის არმიაში:

სიღნაღის რაიონის ექიმთა საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება:

I. არ ითანამშრომლოს სიღნაღის რაიონის სამხედრო კომისარიატთან არსებულ საბჭოთა არმიაში გასაწვევ საექიმო კომისიაში ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა შექმნამდე;

2. გადაწყვეტილება ეცნობოს სიღნაღის რაიონის სამხედრო კომისარიატს და რაიონის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელ კომიტეტს;

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რაიონულ და ცენტრალურ პრესაში.

რეზოლუციის ამონაწერი ოქმი N1-დან სწორია

კრების მდივანი: /ნ. გ. ხარაზიშვილი/

---

ხაშურის რაიონის სამხედრო კომისარს,
მოქ. მარიდაშვილს

ხაშურის რაიონული საავადმყოფოს ექიმის
ლადო ჭიპაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ დღემდე ვითვლებოდი რაიონის სამხედრო კომისარიატის სამედიცინო კომისიის წევრად. დღეიდან უარს ვაცხადებ აღნიშნული კომისიის წევრობაზე შემდეგი მოტივებით:

1. 1989წ. 9 აპრილის შემდეგ საქართველოში ჩამოსვენებულ იქნა ოთხმოცამდე ქართველი ჯარისკაცის გვამი.

2. თვით საბჭოთა საქართველოს უზენაესი საბჭოს 1989წ. ნოემბრის სესიამ საქართველო სცნო ოკუპირებულ ქვეყნად, ხოლო 1949წ. ჟენევის საერთაშორისო კონფერენციის დადგენილებით ოკუპანტ ქვეყანას არ აქვს უფლება [illegible] ქვეყნის მოსახლეობა გაიწვიოს საკუთარ შეიარაღებულ [illegible].

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო მე არ მაქვს არც ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება ხელი მოვაწერო ქართველი ახალგაზრდების გაგზავნაზე ოკუპანტთა წითელ არმიაში, რის გამოც უარს ვაცხადებ ამ ბინძურ აქციაში მონაწილეობაზე.

ექიმი ლადო ჭიპაშვილი

6 მარტი 1990წ.

---

# პრეზიდენტის პორტრეტი

1989 წლის 29 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა რესპუბლიკის ნომერ პირველი დისიდენტი, "ქარტია-77-ის" ლიდერი ვაცლავ ჰაველი. ქვემოთ გთავაზობთ წერილს ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ახალ მეთაურზე.

ვაცლავ ჰაველი დაიბადა 1936 წლის 5 ოქტომბერს მილიონერის ოჯახში, რომელსაც ეკუთვნოდა "ბარანდოვის" კინოსტუდია, რესტორნები, 1400 ჰექტარი ტყე. მის სოციალურ წარმოშობას კომპარტიის საინფორმაციო სააგენტოები ხშირად იყენებდნენ ჰაველის დისკრედიტაციისათვის.

1951 წელს მან დაამთავრა საშუალო სკოლა. სწავლის გაგრძელების ნაცვლად იგი იძულებული გახდა ესწავლა ხელობა, რადგან იმ დროისათვის "მილიონერის შვილს" სხვა არჩევანის უფლება არ ჰქონია. მშობლების დახმარებით იგი მოეწყო ლაბორატორიაში, სადაც იმუშავა 5 წლის განმავლობაში. საღამოს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სცადა უმაღლეს ჰუმანიტარულ სასწავლებელში შესვლა, მაგრამ უშედეგოდ. (მისმა სოციალურმა წარმოშობამ აქაც ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა).

1955 წელს იგი შევიდა ჩეხეთის ტექნიკურ სასწავლებელში, რათა თავი არიდებინა სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის. მალე მან მიატოვა სასწავლებელი და განმეორებით სცადა ჰუმანიტარულ სასწავლებელში შესვლა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. ორი წლის განმავლობაში მას მაინც მოუწია სამხედრო სამსახურის გავლა საინჟინრო ჯარში. დემობილიზაციის შემდეგ იგი ჩაირიცხა თეატრალურ ფაკულტეტზე, რომელიც დაუსწრებლად დაამთავრა 1966 წელს.

1969 წელს ვაცლავ ჰაველი თავის სახლში წააწყდა მოსასმენ აპარატურას. იგი მიხვდა, რომ მას უთვალთვალებდნენ. ამავე წელს იგი დაადანაშაულეს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ მოქმედებაში. მომავალმა პრეზიდენტმა ციხეში საბოლოო ჯამში 5 წელი გაატარა. უკანასკნელად დაკავებულ იქნა გასული წლის თებერვალში და მიესაჯა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.



1977 წელს ჩეხოსლოვაკიელმა სამართალდამცველებმა ჩამოაყალიბეს "ქარტია-77". რის გამოც "ქარტიელებისა" და მისი ლიდერის ვაცლავ ჰაველის წინააღმდეგ ამოქმედდა რეპრესიული აპარატი. პრეზიდენტად არჩევის შემდგომ, როდესაც ჰაველი იღებდა მილოცვებს, მან განაცხადა, რომ იყო და რჩება "ქარტიელად".

მას არაერთხელ დაჟინებით ურჩევდნენ დასავლეთში წასვლას /დისიდენტების სამშობლოდან გაძევება ხომ კომუნისტების ნაცადი მეთოდია/, მაგრამ იგი ყოველთვის უარს ეუბნებოდა ხელისუფალთ, რადგან დევნილი დისიდენტის ცხოვრება ერჩივნა უზრუნველყოფილ ემიგრანტულ არსებობას.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიაში არ გამოქვეყნებულა მისი არცერთი ნაწარმოები. ოფიციალური პროპაგანდა მას "უნიჭო დრამატურგს" უწოდებდა, მაგრამ ამ დროს მის შემოქმედებას აღიარებდა და აფასებდა დასავლეთი. 1989 წელს მიენიჭა დასავლეთ გერმანული კინოვაჭრობის მშვიდობის პრემია, შემდგომ გადასცეს ულოფ პალმეს პრემია. ვაცლავ ჰაველი არის ტორონტოსა და ტულუზას უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი. მისი პიესები დაიდგა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ხოლო თავის ჰონორარებს იგი ყოველთვის უნაწილებდა გაჭირვებულ მეგობრებს.

"მე არასოდეს არ მინდოდა ვყოფილიყავი პროფესიონალი პოლიტიკოსი ან დისიდენტი. მე მწერალი ვარ" – სთქვა ვაცლავ ჰაველმა, ხოლო "ნიუიორკ ტაიმსის" კორესპონდენტთან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ციხე იყო შესანიშნავი მოსამზადებელი ეტაპი საპრეზიდენტო სასახლეში შესასვლელად.

თავისი კრედო ვაცლავ ჰაველმა ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ აქტიური დისიდენტობის პერიოდში: "უნდა აღვადგინოთ ის ფასეულობანი, რომლებიც გააჩნდა 1918-1939 წლების პირველ რესპუბლიკას და რომლებიც მან გადმოსცა ჩვენს ხალხებს".

ახლა იგი ყოველ დილით ჯდება "რენო 21-ში", რომელიც მას აჩუქა მისმა პორტუგალიელმა კოლეგამ მარიო სოარეშემ, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი მიემართება საპრეზიდენტო სასახლეში. ოფიციალურ რეზიდენციაში გადასახლებას იგი არ ჩქარობს. მეუღლე ოლგასთან ერთად ის ცხოვრობს ძველ, ულიფტო ბინაში. ქვეყნის მეთაურის საფოსტო ყუთს ჯერ კიდევ ამშვენებს დისიდენტობის დროინდელი წარწერა "ვაცლავ ბაუმელი!" ეს მხარდასაჭერი სიტყვებიცაა და კეთილი მომავლის სურვილიც, რომელიც არ პირდება რესპუბლიკის მეცხრე პრეზიდენტს ადვილ ცხოვრებას.

---

სედპ-ს II კონგრესზე აკაკი ბაქრაძის გამოსვლის ჩანაწერი

რამდენიმე სიტყვით მინდა მოგახსენოთ ჩემი თვალსაზრისი, რომელიც თქვენი კონგრესისა და საერთოდ ეროვნული მოძრაობისთვის არ იქნება ინტერესმოკლებული.

საქართველოში ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, სამართლებრივი თვალსაზრისით აბსურდული ვითარებაა. არის საკითხები, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით არ არსებობს, მაგრამ ფაქტიურად არსებობს და პირიქით. ეს ხშირად იწვევს დაბნეულობას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ფაქტების არასწორი გაგება. 9 მარტს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის ძალითაც გაუქმდა I922 წლის ხელშეკრულება. საქმე ის არის, რომ ეს ხელშეკრულება I936 წლიდან არის გაუქმებული, ჩვენ კი ხელმეორედ გავაუქმეთ. გაუქმებულია იმიტომ, რომ საქართველო სსრკ-ში არასოდეს შესულა, შევიდა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომლის ნაწილიც იყო საქართველო. როდესაც ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა. საქართველო ფაქტიურად გახდა

/ დასასრული მე-4 გვ /

/ დასასრული /

სსრ კავშირის წევრი, იურიდიული თვალსაზრისით კი ასე არ არის. თუ აქედან გამოვალთ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს იურიდიულად არ ჰყავს ხელისუფლება და არც კომპარტია არსებობს საქართველოსი. ფაქტიურად კი ხელისუფლებაც და კომპარტიაც არსებობს. ეს წინააღმდეგობანი, რომლებიც ჩვენი ისტორიის მანძილზე ხშირად გვხვდებოდნენ, ბუნებრივია, რომ იწვევს დაბნეულობას და ზოგჯერ ისეთი აქტის შეფასება ხდება მაღალ დონეზე, რომელიც არსებითად არაფერს ნიშნავს, ზოგჯერ კი რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენა შეიძლება გამოგვეპაროს. ამიტომ ის პროცესები, რომლებიც დღეს მიმდინარეობს, უნდა განვიხილოთ ორივე კუთხით, როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული თვალსაზრისით, საბჭოთა ხელისუფლება იყო [illegible]. ბუნებრივია, მას არასოდეს არ უძებნია იურიდიული საფუძველი, ან თუ ჰქონდა იურიდიული საფუძველი, ამაზეც ადვილად ამბობდა უარს.

კრილობაზე, კულისებში იყო საუბარი იმაზე, რომ ახალი ხელშეკრულების თვალსაზრისით, მოკავშირე რესპუბლიკები მიიღებენ დიფერენცირებულ უფლებას საბჭოთა კავშირში შესვლისას. ე.ი. ყველა მოკავშირე რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში ყოფნა-არყოფნის საკითხს გადაწყვეტდა მისი შეხედულებისამებრ. მაგრამ, როდესაც დაიწყო კანონების მიღება, ეს ლაპარაკი გაქრა. მაგრამ გაჩნდა მეორე კანონი-მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური წარმონაქმნების გათანაბრება თავისი უფლებებით რესპუბლიკის უფლებებთან. ეს კანონი მუშავდებოდა და გადაწყდება დადებითად. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო იურიდიულად არის შებოჭილი. თუ ის მოინდომებს იურიდიული თვალსაზრისით საბჭოთა კავშირიდან გასვლას, აფხაზეთი და ოსეთი დარჩება სსრკ-ს შემადგენლობაში. დარჩა გზა რომელიც ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ უნდა გაიაროს. მას უნდა ჰქონდეს როგორც იურიდიული, ასევე ფაქტობრივი მნიშვნელობა. აი, ამ ორი მხარის გათიშვა არ შეიძლება, რადგან როგორც კი ამ ორ მხარეს გავთიშავთ, მაშინვე იწყება იმპერიის სიძლიერე.

თავის დროზე კანონების დარღვევა, იურიდიულის და ფაქტობრივის განურჩევლობა იმიტომ მოხდა, რომ ეს იყო იმპერიის სიძლიერის საფუძველი და აქედან გამომდინარე, ყოველთვის საიდანაც უნდოდა იქიდან მოაბამდა ყურს ქოთანს ის ხელისუფლება, რომელიც საბჭოთა კავშირს მართავდა. დღეს საქართველო და მოკავშირე რესპუბლიკები საომარ სიტუაციაშია. ერთიანობისათვის აუცილებელია შეთანხმების ძირითადი საფუძვლების გამოყენება. აზრთა განსხვავებულობა სხვა დროისათვის გადავდოთ. კამათი განთავისუფლებულ საქართველოშიც შეიძლება. ერთი უმთავრესია — ბრძოლა დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

ჩემს წინა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ აეროპორტში ყოველდღე ჩამოდიან "მესხეთელი თურქების" ოჯახები. მაგრამ თურქების ოჯახები ჩვენთვის საშიში არ არის. საშიშია ის ფაქტი, რომ უმაღლესი საბჭო იხილავს კანონს მათი ჩამოსახლების შესახებ და დარწმუნებული ვარ, რომ დადებითად გადაწყდება. ამისი არ უნდა შეგვეშინდეს. მათ წინააღმდეგ ბრძოლა მაღალ დონეზე უნდა წარიმართოს. 1946 წელს ისინი გადაასახლეს პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, საქართველოს ხელისუფლებამ არაფერი არ იცოდა. დღესაც არაფერს არ ჰკითხავენ. საქართველოს უმაღლესი საბჭო, არც მისი სესია, არც მისი პრეზიდიუმი უფლებამოსილი არ არის იურიდიულად გააუქმოს პოლიტბიუროს გადაწყვეტილება. სამწუხარო არის ის, რომ ამ იურიდიულ დოკუმენტს აქვს დიდი მნიშვნელობა და რომელ საერთაშორისო ორგანიზაციაშიც არ უნდა ვიჩივლოთ, მხარს იმათ დაუჭერენ.

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ როგორც ვიცით კომკავშირმა გამოაცხადა თვითლიკვიდაცია. აფხაზეთისა და ოსეთის კომკავშირული ორგანიზაციები ცხადია არ გაუქმდება და არჩევენ, რომ დაექვემდებარონ სსრკ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს. როდესაც საქართველოს კომუნისტური პარტია გამოეყოფა სსრ კავშირის კომუნისტურ პარტიას, აფხაზეთისა და ოსეთის კომუნისტური პარტიები დარჩებიან სსრკ-ს შემადგენლობაში.

იურიდიული თვალსაზრისით ყველა ეს რეფორმა ნიშნავს, რომ საქართველოს ჩამოართმევს ყველა იმ მოჩვენებით უფლებებს, რაც ჰქონდა 70 წლის მანძილზე. რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოში იქმნება კანონები აგრეთვე მათ მიმართაც, რომლებსაც არ აქვთ ავტონომია, მაგრამ კომპაქტურად ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონში. ბუნებრივია, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობაც ქმნის გარკვეულ საშიშროებას, რადგან მათაც მიენიჭებათ უფლებები.

არის ერთი გარემოება, რომელსაც ყურადღების მიქცევა სჭირდება. ალბათ გახსოვთ გრიბოედოვის "ვაი ჭკუისაგან", არის იქ ერთი ადგილი- როდესაც ფამუსოვის სახლში მოხდება არეულობა, ფამუსოვი შეწუხებულია არა იმით, რაც მოხდა სახლში, არამედ იმით, რომ რას იტყვის კნიაგინია მარია ალექსეევნა. საბჭოთა კავშირში ყოველთვის არსებობდა შიში და ჩაგრული ერები, დაფიქრებულნი, თუ რას იტყვის მარია ალექსეევნა. აქ მარია ალექსეევნა იყო თვითონ კომპარტია, ყველას ეშინოდა და ფიქრობდა იმას, რას იტყოდნენ მმართველი კომუნისტები და ამის შესაბამისად უნდა მოფიქრებულიყო ყველა გადაწყვეტილება. დღეს იმ ძალებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია გამოეცალათ ხელიდან, სურთ კომუნისტური პარტიის ნაცვლად ჩასვან ეროვნული მოძრაობა და იქმნება იმის პირობა, რომ ჩვენ რომ გავაკეთოთ ეს, რას იტყვის ეროვნული მოძრაობა.

9 მარტს უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებულმა დადგენილებამ კიდევ [illegible] გაგვიმტკიცა აზრი, რომ არ მიგველო მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში. დოკუმენტი გავრცელდა სხვა დეპუტატებს შორისაც. აგრეთვე გადაეცა უცხოეთის ჟურნალისტებსაც. ამ პოზიციაზე იდგა ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და უკრაინა. იქმნებოდა საშიშროება იმისა, რომ პრეზიდენტის არჩევნები ჩაიშლებოდა. როგორც ყოველთვის ხდება, აქაც დაიწყო დეპუტაციის დამუშავება. სხვადასხვა დაპირებები და ა.შ. მოხდა მიღება გორბაჩოვთან. შეხვედრამ 5 წუთს გასტანა. ის მოვიდა მარტო. ჩვეულებრივ სხვა დროს ყოველთვის ახლდა შევარდნაძე ან ლუკიანოვი, ან პოლიტბიუროს სხვა რომელიმე წევრი. რა თქმა უნდა ლაპარაკი დაიწყო იმით, რომ ჰყავს საქართველოში ბევრი მეგობარი და არა მარტო პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის- შევარდნაძის, არამედ ქართველი ინტელიგენციის სახითაც-აბულაძე, ბუაჩიძე და სხვა. დიდ პატივს სცემს ბუაჩიძეს. გორბაჩოვის თანამეცხედრე და ბუაჩიძე ერთად მუშაობენ კულტურის ფონდში. შეხვედრაზე ის არაფერს ამბობდა რომ სჭირდებოდა ხმები პრეზიდენტად არჩევაში. ის გვპირდებოდა, რომ კანონები რომლებიც იქნებოდა მიღებული, არ ემუქრებოდა საქართველოს. ამ საუბრისას თენგიზ ბუაჩიძემ უთხრა მას, რომ არ დარღვეულიყო 1783 წლის ტრაქტატი და მის მიხედვით გაგრძელებულიყო ურთიერთობა. გორბაჩოვმა უპასუხა, რომ შეიძლება დავუბრუნდეთ 1783 წლის ტრაქტატსაც. ამ ლაპარაკში იყო, როდესაც შემოვიდა ლუკიანოვი და უთხრა, რომ ყრილობა იწყებაო. რის თქმას აპირებდა ამის შემდეგ ჩვენ არ ვიცით. საუბარი არ გაგრძელებულა, საუბრობდა ზოგადი ფრაზებით, მე მომხრე ვარ, რომ საბჭოთა კავშირი იყოს ერთიანი ფედერაცია, მაგრამ თუ რომელიმე რესპუბლიკას არ სურს იყოს ჩვენთან, რას იზამ. მაგრამ ეს იყო განწყობილების შესაბამისად გაკეთებული განცხადება, რადგან შემდეგ რაც მოხდა ამას არ ადასტურებს. შემდეგ მოვიდა პრიმაკოვი ( თბილისელი ყოფილა) მანაც ილაპარაკა, რომ თუ არ აირჩევთ პრეზიდენტს, იქნება სამხედრო დიქტატურა, ან გორბაჩოვი ან დიქტატურა ამან ძალიან დიდი გავლენა მოახდინა, როგორც საქართველოს, ასევე უკრაინისა და ბალტიისპირეთის დეპუტაციაზეც. მათ უარი თქვეს თავის განცხადებაზე. უარი ვთქვათ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობაზე, ყველას შეეშინდა, რომ მართლა არ დამყარებულიყო სამხედრო დიქტატურა.

არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო 2100 [illegible] მათ შორის საქართველოდან მე, აბულაძემ და ყურაშვილმა. ვინაიდან არ არსებობს გორბაჩოვზე უკეთესი ალტერნატიული კანდიდატურა ეს სრულ პოლიტიკურ კრიზისს ნიშნავს.

## " რუსეთის ისტორიის მოკლე კურსი "

რუსეთი ტრადიციულად
თავის ცოცხლიან-მკვდრიანად,
ყველა "წესიერ" მეფით და
უწესო დედოფლიანად,
ყველა მწერლით და გენერლით
რიგითი სალდათიანად,
სხვადასხვა „სორტის" პარტიით,
მარჯვენ -მარცხენა ფრთიანად,
სტოლიპინით და ლენინით,
თებერვალ-ოქტომბრიანად,
გარდუქმნელ უძრაობით და
სისხლიან გარდაქმნიანად,
რუსების მოდგმა საერთოდ
გორბაჩოვ-ელცინიანად,
/ლივაჩოვს ლექსში ვერ ვიტყვი
გულში შევამკობ წყლიანად/,
თავისი ცოლებ-შვილებით,
სიძეებიან რძლიანად,
დეპუტატების კორპუსით
პატრიარქიან მღვდლიანად,
დაპყრობის ავადმყოფობით
გაჟღენთილია ძვლიანად,
სულ სხვისი მიწა შიათ და
სხვის ცრემლი უდგათ წვნიანად,
მოკლედ მაგათი ჯილაგი
თავის სპეც-ჯარებიანად,
ჭირმა გაწყვიტოს შერჩევით
პოლიტბიურო მთლიანად!

რუსლან მიძაგერიძე რ. მ.

სისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ე. წ. პრეზიდენტი მიხეილ II



საქართველოში მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის ძეგლების მასიური დემონტაჟი



ორფეხებზე შემდგარ ყუთში ლენინის ძეგლი იმალება, საიდანაც ფაკირისამებრ შეუმჩნევლად გაუჩინარდება



ეს ჯართი, სულ ცოტა ხნის წინ, "დიდი ბელადის" ძეგლად იდგა ქალაქ ზუგდიდში.



## ვულოცავთ!

ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ფუძემდებელს

ბატონ ზვიად გამსახურდიას 1990 წლის 31 მარტს შეუსრულდა 51 წელი. სედპ და გაზეთ "დროების" რედაქცია ულოცავს ბატონ ზვიადს და უსურვებს ხანგრძლივ სიცო[illegible] [illegible] ჯანმრ[illegible] [illegible] [illegible]ედნიერებას.

რედაქტორი - კოტე ჩოგოვაძე
ტექნიკური რედაქტორი - ვაჟა ძუნთელია
პასუხისმგებელი მდივანი - გია თვალავაძე

სარედაქციო კოლეგია: მ. ნატრიაშვილი, ე. კახიძე, ლ. ძეძხიშვილი, ბ. კვიციანი, გ. მელიძიძე, მ. თურმანიძე, დ. მშვილდაძე, დ. ლეკვეიშვილი, ბ. რაზმაძე

ფოტოკორესპონდენტები: ლ. ბარბაქაძე, დ. გორდელაძე

კორესპონდენციები შეგიძლიათ გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:
380015 თბილისი "მოკითხვამდე" კ. გ. ჩოგოვაძე
☎ [illegible]-70-21

ფასი 1 მან